# საქართველო
# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 48 07/08/2017

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა # 50 - ში მდებარე 490 კვმ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი) ს/კ 36.01.31.271) არასამეწარმეო ( არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის“ სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.**მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადაცეს უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო ( არაკომერციული) იურიდიული პირს „ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკას “ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა # 50 - ში მდებარე 490 კვმ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი) ს/კ 36.01.31.271) .

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე